

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ (2015 წლის 7 ივლისის შეთანხმების საფუძველზე, შპს „ყვირილა ჰესი“) შორის 2014 წლის 22 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

28 იანვარი, 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

და მეორე მხრივ, შპს „ყვირილა ჰესი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ 405088088, წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ალექსანდრე მენაბდის მიერ,

დებენ წინამდებარე შეთანხმებას მთავრობასა და კომპანიას შორის 2014 წლის 22 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში წოდებული, როგორც „მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-2 მუხლის 2.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 39 (ოცდაცხრამეტი) თვეში უზრუნველყოფს:
ა) მემორანდუმის დანართი №1-ით გათვალისწინებული მდინარის ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის დასრულებას მემორანდუმის დანართი №2-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. ამასთან, კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ვადაზე ადრე დაასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები.
ბ) დანართი №1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.“
2. შეიცვალოს მემორანდუმის მე-2 მუხლის 2.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დადებიდან 39 (ოცდაცხრამეტი) თვის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი №1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურის

მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

3. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №2-ით განსაზღვრული გრაფიკი და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული სახით.
4. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. წინამდებარე შეთანხმების პირველი, მე-2 და მე-3 მუხლები ამოქმედდეს 2014 წლის 22 სექტემბრიდან.
6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
7. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
8. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „ყვირილა ჰესი“

ა. ვა

ალექსანდრე მენაბდე

წინამდებარე შეთანხმების დანართი

დანართი №2

	თვეების რაოდენობა ხელმოწერის თარიღიდან						
	3	6	9	30	33	36	39
<u>პროექტის დასახელება:</u>	ყვირილა ჰესი						
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების დაზუსტება	V	V					
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება				V			
გეოლოგია, გეოფიზიკა		V	V		V		
სეისმური ანგარიში			V		V	V	
სამშენებლო მასალების კვლევა					V	V	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები		V	V	V			
ჰიდრაულიკური კვლევები				V	V	V	
ალტერნატივების ანალიზი		V	V		V	V	
ტექნიკური დიზაინი						V	
ინფრასტრუქტურა			V		V	V	
ელექტროენერჯის წარმოება და გამოყენება					V	V	
ქსელთან მიერთება / გადამცემი ხაზი						V	
გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სოციალური რისკების ანგარიშის მომზადება						V	
სამუშაოების მოცულობის უწყისი						V	
მშენებლობის ორგანიზაცია					V	V	
ეკონომიკური ანალიზი						V	
ფინანსური ანალიზი						V	
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა						V	
მუშა ხელის მომზადების გრაფიკი						V	
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის წარდგენა						V	V




საქართველოს მთავრობის განკარგულება

№60 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ (2015 წლის 7 ივლისის შეთანხმების საფუძველზე, შპს „ყვრილა ჰესი“) შორის 2014 წლის 22 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ყვრილა ჰესს“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

